სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 51

2020 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2020 წლის 05 მარტის N 17 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N851821; 17.09.2020) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2020 წლის 05 მარტის N 17 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]" ქვეპუნქტი:
   „ზ[1]) კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებული მოსწავლეების Intel-isef-ის საერთაშორისო სამეცნიერო და საინჟინრო კონკურსზე მონაწილეობის ხარჯები. (აფილირების მოსაკრებელის, კონკურსზე მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადის, საერთაშორისო მგზავრობისა და ფართის დაქირავების ხარჯები)."
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებ გვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებ გვერდზე განთავსებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6)

ჯაბა სამუშია

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი_____

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი

001739